

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გივი ბაქრაძე

ჯანდაცვის სფეროში მენეჯმენტის სრულყოფის ძირითადი
მიმართულებები
(საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის მაგალითზე)

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაციის მაცნე

თბილისი 2014

**დისერტაცია შესრულებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ლარისა თაკალანძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ექსპერტები:

1. ნინო ხარებავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

2. ირინა კვიციანიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
შპს „RM MEDICAL“-ის დირექტორი

რეცენზენტები:

1. ზურაბ ლიპარტია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

2. ევგენი ბარათაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის 10 ივლისს, 15.00 საათზე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: ანა პოლიტოვსკაიას ქ.# 9, VI სართული,
საპრეზენტაციო დარბაზი.
სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი

მადონა გელაშვილი

I. სადისერტაციო ნაშრომის საერთო დახასიათება

თემის აქტუალობა. უკანასკნელ წლებში საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ეტაპობრივად ხორციელდება სტრუქტურული რეორგანიზაცია. გასატარებელი რეფორმის ძირითადი ამოცანაა ჯანდაცვის სფეროში მოქალაქეების კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა, სამედიცინო ბიზნესში კონკურენციისა და ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმების პირობებში სახელმწიფოს მოწინავე პოზიციების შენარჩუნება, სამედიცინო მომსახურების სრულყოფა, ჯანდაცვის დაწესებულებების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, დარგის მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და საკადრო რესურსების გამოყენების ეკონომიკური და კლინიკური ეფექტიანობის ამაღლება.

ჯანდაცვაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება მენეჯმენტის როლი, რამდენადაც **აქტუალურია** მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების ადეკვატური მოსახლეობის ჯანდაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება, მართვის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, აგრეთვე შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების, დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის, სადაზღვევო მექანიზმების სრულყოფის საკითხები.

ჰოსპიტალი წარმოადგენს სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს, რომლის გვერდის ავლით შეუძლებელია ჯანდაცვის სფეროში რეფორმების განხორციელება. ჰოსპიტალი განსაზღვრავს ხელმისაწვდომობის ხარისხს მაღალსპეციალიზებულ ჯანდაცვის სერვისებზე და გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მთლიანობაში. ამიტომ, სახელმწიფოს მთავარი გამოწვევაა ჯანდაცვის მიმართულებით არის ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება და მენეჯმენტის სრულყოფა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დაიწყო ჯანდაცვის სფეროს რეფორმირება. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ფინანსურ და ექსპერტულ დახმარებას უწევდნენ.

1994-1995 წლებში მსოფლიო ბანკი ჩაერთო საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის რაციონალიზაციისა და ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავებასა და ფინანსურ უზრუნველყოფაში. ჰოსპიტალური სექტორის რეაბილიტაციის მიზნით 2007 წელს შემუშავდა “ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა”, რომლის თანახმადაც მისი განხორციელების შემდეგ, 2010 წელს საქართველოში უნდა ყოფილიყო 100 ახალი საავადმყოფო 7 800 საწოლით (4 185 საწოლი – თბილისში და 3 615 – რეგიონებში).

ჰოსპიტალური სექტორის რეაბილიტაციის პროგრამის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში და სახელმწიფო დაფინანსებაზე არსებული ყველა საავადმყოფო პრივატიზაციის გზით კერძო საკუთრებაში უნდა გადასულიყო. მიზანი იყო სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, საავადმყოფოებს შორის კონკურენციის გაზრდა და მათ მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება.

ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, ჰოსპიტალური სექტორის ეფექტიანი მართვა, სამედიცინო მომსახურების ხარისხი და მისი ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემურ საკითხებად დარჩა. კვლავ შენარჩუნებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაბალი მაჩვენებელი, დაბალი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის უკმაყოფილება და ნდობის დაბალი ხარისხი, დაფინანსების არაეფექტური მოდელი, საბაზრო სტიმულებისა და კონკურენციის არარსებობა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის საკითხების არასათანადო დამუშავებამ, თეორიულმა და პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განაპირობა სადისერტაციო თემის არჩევა. ჰოსპიტალური სექტორის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის მეთოდოლოგიური ასპექტების დამუშავება, მათი გამოყენების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, საქართველოში არსებული ჰოსპიტალური ქსელის საქმიანობის შესწავლა და მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება განაპირობებს მოცემული საკითხის კვლევის აქტუალობას.

საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე/ლიტერატურის

მიმოხილვა. ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის სრულყოფის საკითხი არ ყოფილა ქართველი მეცნიერი ეკონომისტების სპეციალური განხილვის საგანი, თუმცა კვლევას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი ქართველი მეცნიერების ო. გერზმავას, თ. ვერულავას, ლ. თაკალანძის, ლ. კოჭლამაზაშვილის,

ი. კვიციანიშვილის, დ. ლომინაძის, რ. ლორთქიფანიძის, მ. მურჯიკნელის, რ. ურუშაძის, ნ. ღვედაშვილის, ი. ჯაყელის და სხვათა ნაშრომები. დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებულ ქართველ მეცნიერთა შრომებიდან გამოვყოფთ ე. ბარათაშვილის, ო. ეჯიბაძის, ზ. ლიპარტიას, გ. ქეშელაშვილის, თ. შენგელიას, გ. შუბლაძის, ნ. ტიტანავას, რ. ხარებავას, თ. ხომერიკის ნაშრომებს.

დისერტაციაზე მუშაობისას გამოყენებული უცხოელი მეცნიერების შრომებიდან გამოვყოფთ ტ. გეთენის, რ. დაფტის, პ. დრუკერის, ფ. კოტლერის, ჰ. ფაიოლის, ა. ალექსანდროვას, ვ. ბარანოვის, ლ. დროზოზინას, მ. კუმენკოს, დ. ნოვიკოვის, ვ. როდიონოვის, მ. რომანოვსკის, ვ. სენეგოვის ნაშრომებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის შედეგების ანალიზისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის შემდგომი სრულყოფის, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის ხელშემწყობი თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში დასახულია შემდეგი **ამოცანები**:

- ჯანდაცვის სფეროს მართვის თეორიების განვითარების ტენდენციების ანალიზი და მათი ავტორისეული შეფასების პოზიციის ჩამოყალიბება;

- საქართველოში ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების არსებული მექანიზმების განხილვა, შეფასება და ავტორისეული მოსაზრებების ჩამოყალიბება;

- განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ჰოსპიტალური სექტორის მართვის გამოცდილების განზოგადება, მენეჯმენტის

თავისებურებების შესწავლა;

- საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის შედეგების კომპლექსური ანალიზი და შეფასება;

- მოსახლეობის ავადობის მაჩვენებლების ანალიზი და ჰოსპიტალურ სექტორზე მოთხოვნის შეფასება;

- საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში არსებული მართვის ფორმების და მენეჯერების ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა ანკეტირების გზით;

- საქართველოში ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის არსებული პრაქტიკის შეფასება, გაუმჯობესების აუცილებლობის დასაბუთება და შემდგომი სრულყოფის წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება;

- ჰოსპიტალურ სექტორში მართვის ფორმების და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფისათვის წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება;

- მრავალპროფილური ჰოსპიტალური სექტორის ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის შემუშავება, ბიზნეს-პროცესების მართვის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

კვლევის საგანი. კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში ჩამოყალიბებული მმართველობითი ურთიერთობები, მენეჯმენტის ტექნოლოგიები და, შესაბამისად, მთლიანად ჯანდაცვის სისტემაში არსებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური პირობების გამოვლენა და შეფასება.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი. კვლევის ობიექტად ჰოსპიტალური სექტორის არჩევა განაპირობა მისმა დომინანტურმა მნიშვნელობამ ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში. მისი როლი ჯანდაცვის სისტემაში განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: მათ დაფინანსებაზე იხარჯება ჯანდაცვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჰოსპიტალი განსაზღვრავს ხელმისაწვდომობის ხარისხს მაღალსპეციალიზებულ ჯანდაცვის სერვისებზე, ჰოსპიტლებში დასაქმებულია ჯანდაცვის პროფესიონალი კადრების წამყვანი ნაწილი, ჰოსპიტალური სექტორი არსებით როლს ასრულებს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში.

კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი და ინფორმაციული ბაზა. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა აბსტრაქციის, ანალოგიის, სტატისტიკური დაკვირვების, სისტემური მიდგომის, შედარების, ანალიზის მეთოდები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ჯანდაცვის მართვის სფეროში საქართველოს საკანონმდებლო აქტები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მეთოდური და ნორმატიული მასალები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მასალები. ნაშრომში გამოყენებულია ჯანდაცვის მენეჯმენტის სფეროში სამამულო და უცხოელი მეცნიერების და სპეციალისტების სამეცნიერო და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები.

დასაცავად წარმოდგენილი ძირითადი დებულებები. ჯანდაცვის სფეროს თავისებურებები განპირობებულია მისი საქმიანობის სპეციფიკით და სისტემის ფუნქციონირების სოციალური მიმართულებით: სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მომსახურება და მათი ჩართვა მომსახურების გაწევის პროცესში, რაც განსაზღვრავს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარისხის და სამედიცინო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების შეფასების სირთულეს. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურებას აქვს საზოგადოებრივ-სოციალური ეფექტი და ჰოსპიტალური სექტორის როლი ამ საქმეში არსებითია. თანამედროვე ეტაპზე ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის შედეგების ანალიზის, ქვეყანაში არსებული ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის, ჯანდაცვის ეკონომიკასა და მენეჯმენტში არსებული სამამულო და უცხოური ლიტერატურის, ჩატარებული კვლევების და ფართო სტატისტიკურ მასალების ანალიზის საფუძველზე, დასაცავად წარმოდგენილია ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის სრულყოფის ხელშემწყობი შემდეგი **დებულებები:**

1. ქვეყნის ჰოსპიტალურ სექტორში ეტაპებად ჩატარებული რეფორმის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია პოზიცია, რომ, მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა,

ვერ იქნა მიღწეული საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაახლოება საერთაშორისო მაჩვენებლებთან. ევროპის ქვეყნებში სამედიცინო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეკუთვნება სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს და სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც საქართველოში არსებული სამედიცინო ჰოსპიტლების 97% რეფორმის ფარგლებში დაექვემდებარა პრივატიზებას; ევროპის ქვეყნებში ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები მთლიანი ბიუჯეტის 14-15%-ს შეადგენს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 6,5 -7 %-ს არ აღემატება; ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო წილი ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაში შეადგენს 75-80%-ს, საქართველოში 23%-ს არ აღემატება; რეგიონების უმეტესობაში ჰოსპიტალურ სექტორში სადაზღვევო კომპანიების ვერტიკალური ინტეგრაცია აღინიშნა, რაც ინტერესთა კონფლიქტის მატარებელია.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან ჰოსპიტალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის, მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, პირველ რიგში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

2. ჯანდაცვის დაწესებულების მართვის კლასიკური მეთოდების გარდა (ეკონომიკური, ორგანიზაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები), განხილული და შეფასებულია ჯანდაცვის ორგანიზაციისადმი სპეციფიკური მიდგომებიც: სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის სისტემური ანალიზი, სამედიცინო დახმარების მართვა ინტეგრირებული სისტემების გამოყენებით, იმიტირებული მოდელირების მეთოდი გარდამავალი ეკონომიკის სისტემაში, ექსპერტული შეფასების მეთოდი და სხვა.

ავტორი მართვის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითად მიმართულებად მიიჩნევს მართვის კლასიკური მეთოდების ინტეგრაციას და ორიენტაციას ობიექტზე, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის სამივე სექტორის (სახელმწიფო, კერძო და არაკომერციული) ელემენტებს. ეს მენეჯმენტს მისცემს შესაძლებლობას დაძლიოს სირთულეები შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენებით.

3. ანალიზის შედეგად დასაბუთებულია, რომ რაიონების

და სამედიცინო მომსახურების დონეების მიხედვით ფინანსური რესურსების განაწილება და დაფინანსების მექანიზმები უნდა ემყარებოდეს მოსახლეობის საჭიროებებს. ამისათვის აუცილებელია რესურსების განაწილების მიზნობრიობის შემოწმების ალგორითმის შემუშავება, გაწეული მომსახურების მოცულობისა და ხარისხის შესაბამისად.

შემუშავებულია ჰოსპიტალური მომსახურების დონეების მიხედვით ფინანსური რესურსების განაწილების პარამეტრების ალგორითმი, რომლის გათვალისწინება ხელს შეუწყობს რესურსების სამართლიან გადანაწილებას ჰოსპიტალური მომსახურების დონეების მიხედვით.

4. შემუშავებულია ჰოსპიტალური დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების სქემა და ბიზნესის მართვის ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის რეკომენდაციები, რომელშიც გათვალისწინებულია სამედიცინო ბიზნესის თავისებურებები. ავტორის აზრით, ჰოსპიტლის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრისას ძირითადი განყოფილებები უნდა ყალიბდებოდეს ორგანიზაციის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ხოლო ქვეგანყოფილებები და საერთო განყოფილებები განიხილება როგორც დამხმარე სტრუქტურები;

5. ჰოსპიტლის სტრუქტურისა და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით შემოთავაზებულია მართვის ფორმების სრულყოფის მოსაზრებები, აგრეთვე ჯანდაცვის დარგისთვის მენეჯერთა კადრების მომზადების და მმართველობითი გადაწყვეტილებების ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფის ავტორისეული წინადადებები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სფეროს რეფორმირების პერიოდში ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტისა და მისი თავისებურებების კვლევის პირველ მეცნიერულ ცდას. სადისერტაციო კვლევის შედეგებიდან გამოვყოფთ:

1. ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კომპლექსურად განხორციელდა ჯანდაცვის სფეროს მართვის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების

კვლევა ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებების შესამუშავებლად. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მენეჯმენტის მეცნიერული სკოლების გამოცდილების კომბინირებული სახით გამოყენება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჯანდაცვის სფეროს, კერძოდ, ჰოსპიტალური სექტორის სპეციფიკურობა;

2. კომპლექსურად გამოკვლეულია დარგის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის პირველადი შედეგები;

3. შემუშავებულია ჰოსპიტლის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების მეთოდოლოგია, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად პრიორიტეტული სტრუქტურის იდენტიფიცირების საფუძველზეა აგებული.

4. ქვეყნის წამყვან ჰოსპიტალურ დაწესებულებებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები თანამედროვე ქართული ჰოსპიტლის უმაღლეს მენეჯმენტში არსებული პრობლემების შესახებ და შემუშავებულია წინადადებები მათი დაძლევის თვალსაზრისით;

5. შემუშავებულია ჰოსპიტალურ სექტორში მართვის დაგეგმვის ფუნქციის -ბიუჯეტირების დანერგვის მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრას, ბიზნესერთეულის ფინანსურ მართვას;

6. შემოთავაზებულია ჰოსპიტალური სექტორის მმართველობითი საქმიანობის ალგორითმი მართვის მრავალდონიან ორგანიზაციულ სისტემაზე დაყრდნობით, სადაც იერარქიული დონეები შესაძლოა იცვლებოდეს ჰოსპიტლის პროფილის რაოდენობის ცვლილებასთან ერთად და შემუშავებულია მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმები. შემუშავებულია მართვის ამოცანების ალგორითმი, რომელიც ასახავს მართვის ამოცანების ბოგად წყობას ჰოსპიტალური სექტორისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები შესაძლებელია

გამოყენებული იქნეს ამოსავალ ბაზად საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის ფუნქციონირების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯანდაცვის სფეროს მმართველობითი ორგანოების მიერ, ჰოსპიტლის მენეჯმენტის მიერ, აგრეთვე მეთოდური მასალის სახით შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი დარგობრივი კომისიის სხდომაზე, აგრეთვე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია სამეცნიერო-პრაქტიკულ რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში 6 სტატიად.

სადისერტაციო ნაშრომის მასალებზე შესრულებულია ორი კოლოკვიუმი:

1. ჰოსპიტალური ქსელის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარება საქართველოში (2012 წლის ივლისი);
2. თანამედროვე ჰოსპიტლის მენეჯმენტის თავისებურებები (2013 წლის ივლისი);

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 198 გვერდს; დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, ათი პარაგრაფის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი 125 დასახელებით და დანართები. დანართები მოიცავს 10 ცხრილს, 3 სქემას და 27 დიაგრამას.

ნაშრომის სტრუქტურა შეესაბამება კვლევის ლოგიკას და აქვს შემდეგი სახე:

შესავალი

თავი I. ჯანდაცვის სფეროს მართვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. ჯანდაცვის სფეროს მართვის ფორმების განვითარების თეორიული საფუძვლები

1.2. ჯანდაცვის სფეროს მართვის მეთოდოლოგიური ასპექტები

1.3. ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის თეორიული წანამძღვრები

თავი II. ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და შეფასება

2.1. ჰოსპიტალური სექტორის საბაზროპირობებში ფუნქციონირების ძირითად მაჩვენებელთა სისტემის ანალიზი და შეფასება

2.2. საქართველოს ჰოსპიტალური მომსახურების საბაზრო ტრანსფორმაციის შედეგების ანალიზი და შეფასება

2.3. ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის თავისებურებები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში

2.4. საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში მენეჯმენტის განვითარების ტენდენციები

თავი III. ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები

3.1. ჰოსპიტალური მომსახურების ფორმებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის საკითხები

3.2. ჰოსპიტალურ სექტორში მართვის ფორმების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

3.3. მენეჯმენტის ტექნოლოგიების სრულყოფის გზები საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის სია

დანართები

II. დისერტაციის ძირითადი შინაარსი

დისერტაციის შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, განსაზღვრულია საკვლევი პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები, მეცნიერული ნიახლეები და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველ თავში - „ჯანდაცვის სფეროს მართვის თეორიული და

მეთოდოლოგიური საფუძვლები“ განხილულია ჯანდაცვის სფეროს მართვის თეორიების განვითარების ტენდენციები, მართვის ზოგადი მეთოდოლოგიური ასპექტები და თავისებურებები, გაანალიზებულია სამედიცინო ბაზრის თავისებურებები და საბაზრო მექანიზმების ფორმირებისა და სრულყოფის პრინციპები ჰოსპიტალურ სექტორში. განხილულია ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო რეგულირების თეორიული წინამძღვრები.

ნაშრომში შესწავლილია მართვის თეორიების განვითარების სკოლები და მიმართულებები, გაანალიზებულია სიტუაციური და პროცესული მართვის თეორიები ჰოსპიტალური სექტორის მართვასთან მისადაგებით.

მართვის მეცნიერული სკოლების განხილვიდან გამომდინარე, გაკეთებულია დასკვნა, რომ რთულია რომელიმე ერთი მიმართულების გამოყოფა და მისი ეფექტიანად ჩათვლა ჯანდაცვის სისტემაში გამოსაყენებლად. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მომდინარე რეფორმები საჭიროებს მართვის ფორმების და ორგანიზაციის ძირეულ სრულყოფას. შესაბამისად, სწორი მიდგომისათვის საჭიროა ყველა სკოლის იდეების გათვალისწინება.

ნაშრომში შესწავლილი და შეფასებულია ჯანდაცვის სფეროში მენეჯმენტის თავისებურებები, რომელიც განპირობებულია საქმიანობის სპეციფიკით და სისტემის ფუნქციონირების სოციალური მიმართულებით: სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მომსახურება და მათი ჩართვა მომსახურების გაწევის პროცესში, რაც განსაზღვრავს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარისხის და სამედიცინო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების შეფასების სირთულეს. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურება მიეკუთვნება სოციალურ მომსახურებას, მას აქვს საზოგადოებრივ-სოციალური ეფექტი, ამასთან ამ საქმეში არსებითია ჰოსპიტალური სექტორის როლი. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჰოსპიტალურ სექტორში მართვის ორგანიზაციას.

გამოყოფილია სამედიცინო დაწესებულებების მართვის პროცესის განმსაზღვრელი **არსებითი ნიშნები**, რომელიც დაკავშირებულია მათი საქმიანობის ხასიათთან: ხარისხის განსაზღვრისა და

საქმიანობის შედეგების გაზომვის სირთულე; ძირითადი საქმიანობის მაღალი სპეციალიზაცია, რომელსაც ხშირად აქვს სასწრაფო და გადაუდებელი ხასიათი; გაურკვევლობისა და შეცდომის უფლების არარსებობა; სხვადასხვა განყოფილებებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების სირთულე და საქმიანობის მჭიდრო კოორდინაციის საჭიროება; თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია; მენეჯმენტის მკაცრი კონტროლის აუცილებლობა ექიმების საქმიანობაზე, ექიმების საქმიანობის გადამწყვეტი გავლენა ჰოსპიტლის საქმიანობის მოცულობასა და ხარჯების განსაზღვრაზე.

საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაციით გამოყოფილი სამედიცინო დაწესებულების სამი ტიპი და გარჩეულია თითოეულ მათგანში მართვის თავისებურებები.

ჯანდაცვის სისტემა, როგორც ნებისმიერი სხვა დარგი, მოითხოვს მართვის ორგანოების მართვის სუბიექტზე ზემოქმედების რიგი მეთოდების გამოყენებას. ჯანდაცვის მართვის მეთოდები ეფუძნება სისტემის მონაწილეების (სუბიექტების) ობიექტურ ურთიერთკავშირს და ითვალისწინებს ამ სფეროში მათი ქცევის სპეციფიკურ თავისებურებებს. ზოგადად, გამოყოფილია ჯანდაცვის დაწესებულების მართვის მეთოდების სამი ძირითადი ჯგუფი: ეკონომიკური, ორგანიზაციული და სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები [გვ. 39-40].

სამედიცინო მომსახურების ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა - ექიმის გადამწყვეტი როლი ავადმყოფის მოთხოვნის ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდება ყალიბდება მოთხოვნის ზემოქმედების შედეგად, პაციენტს არ გააჩნია საჭირო ცოდნა და სრული ინფორმაცია ამ მომსახურების შესახებ. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი როლი ენიჭება სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, ერთი მხრივ, სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნილების სრულად და ხარისხიანად დაკმაყოფილება, ხოლო მეორე მხრივ, სამედიცინო დაწესებულებებში მაღალი ფინანსური შედეგების მიღწევა; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში **დასაბუთებულია**, რომ მენეჯმენტს ეკისრება პასუხისმგებლობა სოციალური

სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპების შეხამების უზრუნველსაყოფად; განმარტებულია, რომ, ჯანდაცვის თავისებურებიდან გამომდინარე, ამ სფეროში შეზღუდულია საბაზრო კანონების მოქმედება და რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ეკისრება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

თანამედროვე ეტაპზე პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს ჯანდაცვის დაფინანსებაზე გამოყოფილი თანხების ეტაპობრივი გაზრდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ მინიმალურად დასაშვებ დონემდე (მშპ-ს 7%) და ისეთი ეკონომიკურ-ფინანსური მექანიზმის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უკვე გამოყოფილი მწირი ფინანსური რესურსების ეფექტიან გამოყენებას. 2011 წელს ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 1.7 პროცენტს, ხოლო სახელმწიფო დანახარჯები მთლიან დანახარჯებთან მიმართებაში 25 პროცენტს არ აღემატებოდა, რაც ვერ უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად რეალიზაციას. მოსახლეობის კერძო წესით ან სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული ჯანმრთელობის დაზღვევის მქონე პირთა რაოდენობის ტენდენციების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2007 წელს მოსახლეობის მხოლოდ 6% იყო დაზღვეული ჯანმრთელობის დაზღვევის ამა თუ იმ ფორმით, ხოლო 2012 წლისთვის უკვე დაზღვეული იყო საქართველოს ყოველი მეორე მოქალაქე და დაზღვეულთა 75% სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებში იყო ჩართული. ჯანდაცვის სფეროში შენარჩუნებული მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 2013 წლის 1 ივლისიდან მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევის სისტემის შემოღების შესახებ. მიუხედავად მოსახლეობის ჯანდაცვის სფეროში გადადგმული ნაბიჯებისა, სისტემა კვლავ საჭიროებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს სახელმწიფოს მხრიდან, რაც გვესახება გადაუდებელ ამოცანად ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის და შრომითი პოტენციალის დანაკარგების შემცირებისთვის [გვ. 54-58].

ამრიგად, ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზით წარმოჩინდა ის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა

განისაზღვროს, თუ რამდენად კარგად ასრულებს ჯანდაცვის სისტემა მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებებით დაკისრებულ ფუნქციებს და რა პრიორიტეტები უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფოს მხრიდან მომავალში.

ნაშრომში გაანალიზებულია ჯანდაცვის სისტემის მართვის სამი მეთოდი - პროგრამული გაძღოლის მეთოდი, გლობალური გაძღოლის მეთოდი, საბაზრო გაძღოლის მეთოდი. ჯანდაცვის ობიექტების მართვის მეთოდებზე დაკვირვებიდან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია **მართვის შერეული მეთოდის** გამოყენება. მაგალითად **საბაზრო** და **პროგრამული გაძღოლის მეთოდების** კომბინაციას შეიძლება მეტი ეფექტი ქონდეს საქართველოს რეალობაში, სადაც საბაზრო მექანიზმები ჩამოყალიბების სტადიაშია, ხოლო პროგრამული დაფინანსების აუცილებლობა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე გარდაუვალია.

მეორე თავში - “**ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და შეფასება**“ განხილულია ჰოსპიტალური სექტორის მნიშვნელობა მოსახლეობის ჯანდაცვის უზრუნველყოფაში, მისი ფუნქციონირების ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაანალიზებულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა საქართველოში და მოთხოვნა ჰოსპიტალურ ქსელზე პროფილის მიხედვით. გაანალიზებულია ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა, შეფასებულია მისი ძირითადი პოსტულატები და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ფუძემდებლური კონცეფციები, განხილულია ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა და მისი ინდიკატორები. შეფასებულია ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის შედეგები და განვითარების ტენდენციები. წარმოჩენილია მარკეტინგის მნიშვნელობა საქართველოს ჰოსპიტალურ ქსელის ბაზრის კვლევაში, შეფასებულია ავტორის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები მენეჯმენტის კვალიფიკაციისა და ინფორმირებულობის საკითხებზე,

ნაშრომში ჰოსპიტლის როლის განსაზღვრისათვის გამოყენებულია ისეთი სტანდარტული მაჩვენებლები, როგორცაა ჰოსპიტლის

საჭირო რაოდენობა, ტიპი, მოცულობა, მათი არსებობისათვის საჭირო ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ოდენობა. ჰოსპიტალური სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობის განსაზღვრისას გამოყენებულია სტრუქტურული (ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება), პროცესის (რესურსების ეფექტიანი მენეჯმენტი; სამედიცინო დახმარების უსაფრთხოება; ხარისხის უზრუნველყოფა) და საბოლოო შედეგის (ფუნქციური ქმედობაუნარიანობის პროგრესი; თვითორგანიზაციისა და თვითკონტროლის მიღწევა) ინდიკატორები. ჰოსპიტლის ფუნქციონირების მიმართულების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ ამ სფეროში ცვლილებების შედეგების აღქმას შეიძლება წლები დასჭირდეს.

სამედიცინო მომსახურების მიწოდების **შესაფასებლად** გამოყენებულია ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მაჩვენებლები:

- საწოლთა რაოდენობის მაჩვენებლის დინამიკა (სულ ქვეყანაში და რეგიონების მიხედვით);
- საწოლების დატვირთვის მაჩვენებლების დინამიკა (სულ და რეგიონებში);
- საწოლზე დაყოვნების საშუალო მაჩვენებლების დინამიკა (სულ და რეგიონებში).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2012 წლის დასაწყისიდან ჰოსპიტალურ სექტორში განხორციელდა არსებითი ცვლილებები, რაც საწოლთა ფონდის შეცვლას და ადამიანური რესურსის ოპტიმიზაციას ითვალისწინებდა. თუმცა, 2012 წლიდან მონაცემები საწოლთა ფონდის შესახებ პროფილის მიხედვით ხელმისაწვდომი არ არის. ამდენად, რეალური დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის საჭიროა განხორციელდეს დღეს არსებულ საწოლთა ფონდის და უტილიზაციის მაჩვენებლების ინვენტარიზაცია, შესწავლა და გაანალიზება. არაა ასევე განსაზღვრული ჰოსპიტალური მომსახურების დონეები და მათ შორის კავშირის მექანიზმები. აქედან გამომდინარე საჭიროა ჰოსპიტალური მომსახურების დონეების განსაზღვრა და შესაბამისი მარეგულირებელი გარემოს ამოქმედება.

ნაშრომში გაანალიზებულია ბოლო წლების ჰოსპიტალურ სექტორთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკა. საქართველოში ჰოსპიტლების რიცხვი 2012 წელს შეადგენდა 221, რაც 2001 წელთან შედარებით (251) შემცირებულია 30 ერთეულით, თუმცა ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე 2011-2012 წლებში არსებითად არ შეცვლილა (ცხრილი #1).

ცხრილი #1. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით 100000 მოსახლეზე

რეგიონი	შემოსულ პაციენტთა რაოდენობა		ჰოსპიტალიზაციის დღე 100000 სულ მოსახლეზე	
	2012	2011	2012	2011
აფხაზეთი	—	—	—	—
აჭარა	36503	32514	9267,1	8292,3
თბილისი	176063	154855	15022,4	13262,7
კახეთი	16265	14168	4005,20	3484,5
იმერეთი	52557	51832	7447,5	7341,6
სამეგრელო	18747	21388	3920,3	4471,7
შიდა ქართლი	12990	15068	4136,9	4801,8
ქვემო ქართლი	21753	18611	4255,3	3660
გურია	3618	4991	2588,0	3557,4
სამცხე-ჯავახეთი	8032	9735	3756,80	4559,7
მცხეთა-მთიანეთი	2665	1284	2438,20	1172,6
რაჭა-ლეჩხუმი	1426	1444	3053,5	3059,3
სხვა უწყება	7209	4635	—	—
საქართველო	357828	333934	7968,20	7448.2

წყარო: ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი, საქართველო 2012-2013

2012 წელს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი შეადგენდა 7968.2-ს. სტაციონარის

ერთი ექიმი წელიწადში საშუალოდ 45 პაციენტს უწევდა მომსახურებას, რაც 2-ჯერ ნაკლებია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. 2012 წელს ზოგადი ლეტალობა სტაციონარში 2,0%-ს შეადგენდა.

ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა, 2012 წელს წინა წელთან შედარებით, 9,9%-ით შემცირდა (საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100000 მოსახლეზე 252.7), საწოლზე დატვირთვამ 228,9 შეადგინა. საწოლთა უმეტესობა (75.3%) სამკურნალო პროფილის იყო. მაღალია ჰოსპიტალში დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა, განსაკუთრებით ფსიქიატრიულ საწოლებზე - 71.2 დღე.

ჰოსპიტლების საწოლთა ფონდი წლების მიხედვით როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში აშკარად დაუტვირთავია. არის შემთხვევები, როდესაც, მძიმე დიაგნოზის დადგენის მიუხედავად, პაციენტები არ მიმართავენ ჰოსპიტალურ მკურნალობას. ჰოსპიტალს, თავის მხრივ, გადახდისუნარიანი პაციენტების სიმცირის გამო უჭირს მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფარვა. საწოლების დატვირთვის მაჩვენებელი ასევე მერყეობს რეგიონების მიხედვით, განსაკუთრებით გამოსაყოფია მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი, სადაც საწოლთა ფონდის დატვირთვა, თითქმის 2-ჯერ დაბალია ქვეყანაში საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. საწოლებზე დატვირთვა განსაკუთრებით მაღალია ტუბერკულოზის, ონკოლოგიური და რადიოლოგიური, ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური პროფილის საწოლების მიხედვით. აღნიშნული, მძიმე სოციალური ფონის პირობებშიც მიგვანიშნებს დაავადებების გავრცელების პროფილზე. ჰოსპიტალური სექტორის განვითარებაზე საუბრისას აუცილებელია დაავადებათა სტრუქტურის და მათი ცვლილების მოსალოდნელი ტენდენციების გათვალისწინება.

ჰოსპიტალური სექტორის მართვის მეთოდების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია **დასკვნა**, რომ პირველ რიგში აუცილებელია შერჩეულ იქნეს ჰოსპიტალური დაწესებულების მართვის ოპტიმალური ფორმა, რომელიც დაეფუძნება თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებს და ამავდროულად მაქსიმალურად იქნება ადაპტირებული ქართულ რეალობასთან.

ნაშრომში გამოკვლეული და შესწავლილია ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის საკითხი, რომელიც პირველად მეოცე

საუკუნის 90-იან წლებში გაუღერდა, - როცა მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის ჰოსპიტალური სექტორის რესტრუქტურირების გეგმა შეიმუშავა. მასში დეტალურად იყო გაწერილი ჰოსპიტალური სექტორის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე მისი პრივატიზაციის თანმიმდევრობა.

ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის განხილვისას, რომლის საბოლოო მიზანი ჯანდაცვის სისტემის ხარისხიანობისა და ეფექტიანობის ამაღლებაა, გამოიყო ძირითადი პოსტულატები და შეფასდა მათი გავლენა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე, კერძოდ: პაციენტზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის შექმნა; მოსახლეობაზე ორიენტირებული პირველადი სამედიცინო დახმარება; შედეგზე ორიენტირებული მკურნალობა; ჰოსპიტალური სექტორის ეფექტიანობა და მოქნილობა; სამედიცინო მომსახურების უკეთესი ხარისხი და ეფექტიანობა. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკის დანერგვის დეტალები აისახა სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც მოიცავდა 2000-2009 წლებს და ასახავდა ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო და კერძო სექტორების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო პრიორიტეტების განსაზღვრა. პრიორიტეტების შერჩევა განხორციელდა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: მოსახლეობის ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები, პრიორიტეტების ეკონომიკური ეფექტიანობა [გვ. 76-78].

2007 წელს დამტკიცდა ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც გულისხმობდა არსებული ქსელის ინფრასტრუქტურის განახლებას, კერძო სერვისების მიწოდებას, გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას ხარისხიან ჰოსპიტალურ მომსახურებაზე, საჭირო ინვესტიციების მოზიდვას ჰოსპიტალური სერვისებზე ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. გეგმის მიხედვით სამი წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო ძველი 11705 ჰოსპიტალური საწოლის ჩანაცვლება თანამედროვე 4905 საწოლით. უნდა შექმნილიყო თანამედროვე სტანდარტების 100 ახალი მრავალპროფილური ჰოსპიტალი, თუმცა მის შემადგენლობაში

შემავალი 15- 25- და 50 - საწოლიანი ჰოსპიტლების წილი უცნობი რჩებოდა. გათვალისწინებული არ იყო ჰოსპიტლის ტიპი, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების ოდენობა. ასევე განსაზღვრული არ იყო ის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდექსები, რომლებიც გამოყენებული იქნებოდა ჰოსპიტალური საქმიანობის შესაფასებლად. გეგმის მიღმა დარჩა თანამედროვე ექიმების და ჰოსპიტლის მმართველი მენეჯერების კვალიფიკაციის საკითხი თანამედროვე სტანდარტების დაწესებულებასთან მიმართებაში.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმით გაიწერა მონოპროფილური სერვისების ინტეგრირება მრავალპროფილურ ჰოსპიტლებში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ჰოსპიტლების მშენებლობის გეგმა და არსებული ჰოსპიტალური ქსელის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია არსებითად ვერ განხორციელდა.

2007 წლის დასაწყისში, როდესაც დაიწყო ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებობდა 245 ჰოსპიტალი, 14600 საწოლით, მათი დატვირთვის მაჩვენებელი არ აღემატებოდა 28%-ს.

2009 წელს სახელმწიფომ ჰოსპიტალური სექტორის ახალი საპრივატიზაციო პოლიტიკა წარმოადგინა. ზოგადად პრივატიზება განხორციელდა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნებით, დასაქმებული სამედიცინო პერსონალის და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

2010 წლიდან ჰოსპიტალური სექტორის **პრივატიზაცია** და **რეფორმა** დაუკავშირდა სადაზღვევო კომპანიების უმწეოთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამას. სადაზღვევო კომპანიებს აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად უმთავრეს პირობად განესაზღვრათ რაიონების უზრუნველყოფა ახალი სტანდარტების ჰოსპიტლებით. გეგმის თანახმად საქართველოს ტერიტორია დაიყო 26 ე.წ. სამედიცინო რაიონად, რომლებიც 2010 წელს ტენდერის საფუძველზე გადანაწილდა სადაზღვევო კომპანიებს შორის. აღნიშნული ცვლილებები აუქციონებებზე ჰოსპიტალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას, მაგრამ არ ითვალისწინებდა მთელ რიგ ისეთ მნიშვნელოვან

ასპექტებს, როგორცაა სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი რაოდენობის ოპტიმიზაცია, გაიდლაინებისა და პროტოკოლების არსებობისა და გამოყენების აუცილებლობა. გამოიკვეთა, რომ მთავრობა ორიენტირებული იყო საბანკო გარანტიებსა და მშენებლობის დასრულების ვადებზე, ჯანდაცვის სფეროში ინვესტორთა გამოცდილება კი ყურადღების მიღმა დარჩა. სამედიცინო საზოგადოების აზრით უმჯობესი იქნებოდა ინვესტორთა შერჩევა წარდგენილი დეტალური ბიზნეს-გეგმების საფუძველზე, სადაც გაწერილი იქნებოდა ჰოსპიტლის მართვის სისტემა, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის მოთხოვნები, ფასების რეგულირების სქემა, მომსახურების სტანდარტები და ა.შ.

მსოფლიო გამოცდილებით სამედიცინო მომსახურების გაწევის უმნიშვნელოვანეს ელემენტად მიჩნეულია სახელმწიფოს მიერ სამედიცინო სექტორის **რეგულირება** და **მონიტორინგი**. ამასთან აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაგეგმვის პროცესში სამედიცინო საზოგადოების მონაწილეობა, ისტორიული მონაცემების გათვალისწინება, არსებულ გამოცდილებათა გაზიარება. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ჰოსპიტალურ სექტორზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, საზოგადოების მოთხოვნები და საჭიროებები. რეფორმა აუცილებელი იყო, თუმცა ფაქტობრივად, ჰოსპიტალური სექტორის და მთლიანად ჯანდაცვის სისტემის რეფორმის შედეგების შეფასებამ და მისმა შედარებამ ევროპული ქვეყნების გამოცდილებასთან წარმოაჩინა რეფორმის დაგეგმვასა და განხორციელებაში არსებული შეუსაბამობები:

1. ევროპის ქვეყნებში სამედიცინო დაწესებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ როდესაც საქართველოში არსებული სამედიცინო ჰოსპიტლების 97% რეფორმის ფარგლებში დაექვემდებარა პრივატიზებას.

2. ევროპის ქვეყნებში ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები მთლიანი ბიუჯეტის 14-15%-ს შეადგენს, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 2012 წელს 6,5%-ს არ აღემატება.

3. ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო წილი ჯანდაცვის

პროგრამების განხორციელებაში შეადგენს 75-80%-ს, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი 2012 წელს 25%-ს არ აღემატება.

ამრიგად, ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის შედეგად ჰოსპიტლების უმრავლესობა კერძო მფლობელების ხელში გადავიდა. აღნიშნული ნაბიჯი გათვლილი იყო მოკლევადიან შედეგზე სოციალურ სფეროში, თუმცა საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების აღმოფხვრის და ინსტიტუციური დაცვის მექანიზმების გარეშე, საექვო გახდა ჯანდაცვის სისტემის გრძელვადიანი გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ჰოსპიტალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის, მდგრადობისა და ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

თანამედროვე ჰოსპიტალი წარმოადგენს რთულად სამართავ ორგანიზაციას, ამიტომ მსოფლიო მასშტაბით შემუშავებულია მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია როგორც ცალკეული ჰოსპიტლის, ისე მთლიანად ქვეყანაში არსებული ჰოსპიტალური სექტორის მდგომარეობის შეფასება. აღნიშნულ კრიტერიუმებს მიეკუთვნება ჰოსპიტალურ საწოლთა რიცხვი, დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა, საწოლის ბრუნვა, საწოლით უზრუნველყოფა, განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი. ჰოსპიტლის მენეჯერის მთავარი ამოცანა, ორგანიზაციაში ოპტიმიზაციისა და ხარჯთეფექტიანობის მისაღწევად, ისეთი პრობლემების გადაჭრაა, როგორცაა საწოლთა ფონდის მართვა, სამედიცინო საქმიანობების აღრიცხვა და მართვა, სამკურნალწამლო საშუალებებით ჰოსპიტლის მომარაგება და მართვა, ჰოსპიტლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, კადრების აღრიცხვა და მართვა, სამედიცინო სტატისტიკის წარმოება, ხარისხის კონტროლი. საქართველოში ზოგადად, ჰოსპიტლების მენეჯმენტი საჭიროებს სრულყოფას (2007-2010 წლების რეფორმების პროგრამაში აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელი ღონისძიებები გათვალისწინებულიც არ ყოფილა).

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა **გამოკითხვა ანკეტირების გზით**, რომელიც წარიმართა ორი მიმართულებით: ერთი ორიენტირებული იყო ჰოსპიტალური დაწესებულებების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის დონის გამოვლენაზე საქართველოში; მეორე

კი - მენეჯერების მოსაზრების კვლევაზე ჰოსპიტალურ სექტორში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სამედიცინო დაწესებულებები, კერძოდ, ჰოსპიტალური სექტორი. საკვლევი ობიექტები განისაზღვრა შემთხვევითი შერჩევის გზით. კვლევის კითხვარი შედგებოდა საინფორმაციო (ჰოსპიტალური დაწესებულების ძირითადი სამედიცინო პარამეტრების სტატისტიკა) და ძირითადი (მენეჯმენტის აზრი ჰოსპიტალურ სექტორში მიმდინარე პროცესებზე) ნაწილისაგან.

კვლევის იმ ნაწილის ანალიზმა, რომელიც მოიცავდა უმაღლეს მენეჯერთა აზრისა და ხედვის კვლევას ჰოსპიტალური სექტორის განვითარებასთან და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოზიციასთან დაკავშირებით, გამოკვეთა მეტად საინტერესო და საგულისხმო ტენდენციები. გამოკითხულთა 60% ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის შესახებ სრულად ინფორმირებულია, 40% - ნაწილობრივ; ისინი სრულად ფლობენ ინფორმაციას ჯანდაცვის სფეროში არსებული იურიდიულ-სამართლებრივი რეგულაციების, ფინანსური ნორმებისა და სტანდარტების შესახებ; ინფორმაციის პირველწყაროდ დასახელდა სახელმწიფო სტრუქტურები, კოლეგები, მასმედია და საერთაშორისო ორგანიზაციები.

კვლევაში მონაწილე მენეჯერთა 80% აქტიურად ადევნებს თვალს ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მიმდინარე ცვლილებებს, ფლობს ინფორმაციას საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკის შესახებ ჰოსპიტალურ სექტორში; გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს ჯანდაცვის ევროპული მოდელის უპირატესობას, განსაკუთრებით აღნიშნავს შვედეთის, ისრაელის, გერმანიის გამოცდილებას. კვლევამ აჩვენა, რომ მენეჯერთა უმრავლესობა პრიორიტეტად განიხილავს სამედიცინო მომსახურების ხარისხს და აქტიურადაა ჩართული მისი სრულყოფის პროცესში; ჰოსპიტლის ტოპ-მენეჯმენტი რესურსების სწორად გამოყენების მიზნით სამედიცინო საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს;

გამოკითხულთა უმეტესობა აღიარებს, რომ მართვის პრობლემები არსებობს და საქართველოში უშუალოდ მენეჯმენტს სჭირდება გაუმჯობესება. კვლევის შედეგები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ პირველ რიგში აუცილებელია შერჩეულ იქნეს

ჰოსპიტალური დაწესებულების მართვის ისეთი ფორმა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებს, მაქსიმალურად არის მორგებული გარემო პირობებს და შეუძლია იყოს ადაპტირებული ცვლილებებისადმი; უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსების სწორად მართვა, რომელიც გულისხმობს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას და მათ პერიოდულ გადამზადებას, მათ შორის მმართველი კადრების ცოდნის ამაღლებას მენეჯმენტის საკითხებში, ასევე ფუნქციების და პასუხისმგებლობების სწორ გადანაწილებას. ამასთან, აუცილებელია დაწესებულების მუშაობის მუდმივი კონტროლი და იმ მექანიზმების გამოყენება კონტროლის პროცესში, რომელიც საშუალებას აძლევს სამედიცინო დაწესებულებებს, აღმოაჩინონ ნაკლოვანებები როგორც კლინიკურ, ისე ეკონომიკურ თუ სხვა ასპექტებში და მიიღონ შესაბამისი ზომები.

მენეჯერები ჰოსპიტლის წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად მენეჯმენტის მაღალ კომპეტენციას ასახელებენ; მათი აზრით, სახელმწიფო უფრო აქტიურად და პოზიტიურად უნდა ჩაერთოს ჰოსპიტალური სექტორის სრულყოფის პროცესში, რადგან სახელმწიფო რეგულაციებში არსებული ხარვეზები წარმოადგენს არსებით შემაფერხებელ ფაქტორს ჰოსპიტლის წარმატებული საქმიანობისთვის.

მესამე თავში - „ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები“ განხილულია ჰოსპიტალური მომსახურების ფორმებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის საკითხები, ჩამოყალიბებულია ჰოსპიტალურ სექტორში მართვის ფორმების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები, შემუშავებულია მენეჯმენტის ტექნოლოგიების სრულყოფის საკითხები საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში.

სამედიცინო ბიზნესის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მენეჯმენტის გამართულ მუშაობაზე. მიუხედავად მართვის მეთოდებისა და ფორმების ცვლილებისა, მენეჯმენტის ამოცანა უცვლელია - მაქსიმალური მიზნის მიღწევა არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენებით.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის სწორი განსაზღვრა. სამედიცინო

ბიზნესის მართვა უპირველესად არის მეცნიერება და ინოვაცია. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს მკურნალობის უახლეს მეთოდებზე, ხერხებსა და ტექნოლოგიებზე, ხოლო ინოვაციებისადმი მიდგომა ბაზრის პერსპექტივებს დაეფუძნოს. ჰოსპიტლის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის იდეალური მოდელი პრაქტიკაში არ არსებობს, თუმცა, შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი ეფექტიანი ფორმირება.

მართვის მეცნიერებამ მსოფლიო პრაქტიკაში გამოიმუშავა ბიზნესის მართვის ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის რეკომენდაციები, რომლებიც სამედიცინო ბიზნესის თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება ასე ჩამოვაცალიოთ:

1. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი, მთელი პერსონალისათვის ცნობილი. მას უნდა ჰქონდეს ჰოსპიტლის შიდა და გარე გარემოს ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების უნარი;

2. მართვის იერარქიული კონსტრუქცია უნდა იყოს შეკუმშული და პირდაპირ კომუნიკაციებზე დამყარებული;


3. ჰოსპიტლის ძირითად განყოფილებებსა და დამხმარე სამსახურებს შორის უნდა იყოს უზრუნველყოფილი მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა. დამხმარე სამსახურების (ლაბორატორია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის და სხვა) წინაშე არ უნდა იყოს დასმული განსხვავებული ამოცანები, არ უნდა იყოს დუბლირება საქმიანობაში;

4. საჭიროა ჰოსპიტლის ძირითადი განყოფილებების კოლექტიური მუშაობის ორგანიზაცია, ერთდროულად პროფესიონალი კადრების ინდივიდუალურობისა და პირადი სამეცნიერო მიღწევების წახალისება;

5. ჰოსპიტლის ძირითადი განყოფილებების ფუნქციები უნდა იყოს მკაფიოდ გამიჯნული და კოორდინირებული. სამედიცინო ბიზნესის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად ჰოსპიტლის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა შეიმუშაოს ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მისი დასახული სტრატეგიის განხორციელებას. იგი განსაზღვრავს და ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე ჰოსპიტლის მოწინავე პოზიციის შექმნა-შენარჩუნებას.

ჩვენს მიერ შემუშავებულია ჰოსპიტალური დაწესებულების მენეჯმენტის იერარქიული სტრუქტურის მოდელი და ჰოსპიტალური სექტორის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობის რეკომენდაციები (იხ.სქემა #1). აღნიშნულ სქემას საფუძვლად უდევს ხაზობრივ-ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა. ჩვენი აზრით, ჰოსპიტლისათვის ოპტიმალურია **ხაზობრივ-ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა**, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი განყოფილებების ჩამოყალიბებას ფუნქციონალური პრინციპით, ხოლო დაქვემდებარებას ხაზობრივი პრინციპით. შემოთავაზებული მოდელი წარმოადგენს ტრადიციული სტრუქტურების სრულყოფას, არის მოქნილი და შეუძლია სწრაფი მისადაგება გარე სამყაროს შეცვლილ პირობებთან, ხელს უწყობს სიახლის დანერგვას.

სქემა #1. მენეჯმენტის იერარქიული სტრუქტურის მოდელი ჰოსპიტალურ დაწესებულებაში



ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიუხედავად **ჭოსპიტალური სექტორის ორგანიზაციული სტრუქტურა** პასუხობს გარკვეულ ფორმალურ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები და თვისებები ჭოსპიტალური დაწესებულებისთვის ასეთი შინაარსის მატარებელია:

- ჭოსპიტლის თითოეული ქვედანაყოფი (განყოფილება, ქვეგანყოფილება) და თითოეული მენეჯერი ფლობს კონკრეტულ მიზანს, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ორგანიზაციის ძირითად მიზნებთან.

- ორგანიზაციული სტრუქტურა ქმნის პირობებს და ხელს უწყობს თვითკონტროლისა და მოტივაციის სრულფასოვან განხორციელებას. მმართველობითი პერსონალის ოპტიმიზაციის გზით ხდება დანახარჯების შემცირება მართვამე.

- მენეჯერების მუშაობა ფასდება არა მხოლოდ პროფესიული სტანდარტებით, რომლებიც მათ კომპეტენტურობასა და ადმინისტრირების უნარს განსაზღვრავს, არამედ ორგანიზაციის ეკონომიკური შედეგებითაც.

- ორგანიზაციის მწყობრი სტრუქტურა ეხმარება თითოეულ ექიმს (სამედიცინო-ტექნიკურ პერსონალს) მის წინაშე დასმული ამოცანის ნათლად წარმოსახვაში სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფის გზით (ხელშეწყობა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობაში). გამოკვეთილია თითოეული პერსონალის როლი ორგანიზაციის გლობალური მიზნების განხორციელებაში.

- ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა ფასდება კონკრეტული კრიტერიუმით: თუ რამდენად მარტივდება მისი მეშვეობით მართვის პროცესი და რამდენად უმჯობესდება მართვის დონეებს შორის კოორდინაცია.

- ორგანიზაციული სტრუქტურის ღირსებაა მდგრადობა და სტაბილურობა გარემო პირობების მკვეთრი ცვლილებების მიუხედავად, რაც მიიღწევა წარსული გამოცდილებების გათვალისწინებით და მომავლის დაგეგმვით. მდგრადობის შესანარჩუნებლად ორგანიზაცია საჭიროებს მაღალი ადაპტირების უნარს, ასევე თანამშრომლებისთვის გრძელვადიან გარანტიებს.

- ორგანიზაციული სტრუქტურა ქმნის სათანადო პირობებს

ორგანიზაციის გეგმაზომიერი განვითარება-თვითგანახლებისთვის, საკუთარ ლიდერთა ჩამოყალიბებისთვის. ითვალისწინებს მმართველთა როტაციის შესაძლებლობებს მართვის ყველა დონეზე, ხელს უწყობს თანამშრომლებს უწყვეტი განათლების პროცესში, ასევე მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების დანერგვას ორგანიზაციაში.

ქვეყნის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ინიცირებულ სამედიცინო ქსელის დონეებად მოწყობის გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ შემუშავებულია ჰოსპიტალური მომსახურების დონეების განსაზღვრის და მათი ურთიერთკავშირის ალგორითმი.

ჰოსპიტალური მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში ინდივიდუალური ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია მიზანშეწონილია სამ დონედ. ამ დონეებს შორის სათანადო კავშირების უზრუნველყოფით შესაძლებელია ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფა (სქემა #2).

სქემა # 2 ჰოსპიტალური მომსახურების დონეებად მოწყობის სქემა-ალგორითმი

სამედიცინო მომსახურების მიწოდებელი		მიწოდებული სამედიცინო სერვისების მოცულობა
პირველი დონე	ზოგადი პროფილის რაიონული ჰოსპიტალი	სპეციალისტების მიერ ამბულატორიული კონსულტაციის გაწევა
		ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური გამოკვლევა
		სადღეღამისო ჰოსპიტალური მომსახურება მწვავე შემთხვევების მართვისა და მონიტორინგისთვის (სამეანო და თერაპიული დახმარება)
		დღის სტაციონარული მომსახურება თერაპიული პროფილის პაციენტებისთვის (კარდიოლოგია, გერიატრია, შაქრიანი დიაბეტი, ონკოლოგია და სხვა)
		პირველი დონიდან მეორე დონეზე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა სათანადოდ აღჭურვილი ზრიგადით და სპეც. ავტომობილით
მეორე დონე	მრავალპროფილური რეგიონული ჰოსპიტალი	სპეციალისტების მიერ ამბულატორიული მომსახურების გაწევა
		ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური, ინსტრუმენტალური გამოკვლევები
		გადაუღებელი და გეგმური ჰოსპიტალური დახმარება
		ფართო სპექტრის ჰოსპიტალური სერვისების მიწოდება
		მეორე დონიდან მესამე დონეზე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა სათანადოდ აღჭურვილი ზრიგადით და სპეციალური ავტომობილით
მესამე დონე	ვიწროდ სპეციალიზებული ჰოსპიტალი	ვიწრო-სპეციალისტების მიერ ამბულატორიული კონსულტაციის და მომსახურების გაწევა
		სპეციალიზებული ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური გამოკვლევები
		სპეციალიზებული ჰოსპიტალური მკურნალობა (კარდიოქირურგია, ნეიროქირურგია, ტრანსპლანტაცია, მძიმე დამწვრობა, სამეანო საწოლები მაღალი რისკის ორსულებისთვის)
		სასწავლო პროცესში მონაწილეობა პროფესიონალი კადრების მომზადება-გადამზადების მიზნით

- ჰოსპიტალური მომსახურების პირველი დონე მოიცავს თერაპიულ და სამეანო დახმარებას და ითვალისწინებს სადღეღამისო ჰოსპიტალურ მომსახურებას მწვავე შემთხვევების

მართვისა და დაკვირვებისთვის, დღის სტაციონარულ მომსახურებას თერაპიული პროფილის პაციენტებისთვის (კარდიოლოგია, გერიატრია, შაქრიანი დიაბეტი, ონკოლოგია, პალიატიური მოვლა). ამ დონეზე სამედიცინო მომსახურების საწოლები იქმნება მხოლოდ რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობის მიხედვით.

- მეორე დონის ჰოსპიტალური მომსახურება მოიცავს როგორც დღის სტაციონარს, ისე 24-საათიან მომსახურებას ზოგადი თერაპიული პროფილის პაციენტებისთვის (ნეფროლოგია, გასტროენტეროლოგია, ნევროლოგია, ინფექციური დაავადებები, პულმონოლოგია, დერმატოლოგია, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, აკუპუნქტურა, ონკოლოგია, შაქრიანი დიაბეტი, გინეკოლოგია, ინტენსიური თერაპია და რეანიმაცია); როგორც დღის, ისე სადღეღამისო სტაციონარულ მომსახურებას ქირურგიული პროფილის პაციენტებისთვის (ზოგადი ქირურგია, ორთოპედია, უროლოგია, პლასტიკური ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ბავშვთა ქირურგია, ონკოლოგია, ანესთეზიოლოგია, ქირურგიული გინეკოლოგია);

- სამედიცინო მომსახურების მესამე დონე, ანუ ვიწროსპეციალიზებული მომსახურება (კარდიო ქირურგია, ნეიროქირურგია, ტრანსპლანტაცია, მძიმე დამწვრობა, მესამე დონის სამედიცინო საწოლები მაღალი რისკის ორსულებისთვის, რეფერალი სხვადასხვა პროფილის რთული ან იშვიათი შემთხვევების საკონსულტაციოდ) განთავსდება სპეციალიზებულ დაწესებულებებში ან რეგიონალურ რეფერალურ ჰოსპიტალში.

რაიონების და სამედიცინო მომსახურების დონეების მიხედვით ფინანსური რესურსების განაწილება და დაფინანსების მექანიზმები უნდა ემყარებოდეს მოსახლეობის საჭიროებებს. ამისათვის აუცილებელია რესურსების განაწილების მიზნობრიობის შემოწმების ალგორითმის შემუშავება გაწეული მომსახურების მოცულობისა და ხარისხის შესაბამისად.

რესურსების განაწილების არსებული სისტემა არ ასახავს ტერიტორიული ერთეულების რეალურ საჭიროებებს, არ არის დაკავშირებული ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის რაოდენობასთან და სიღარიბის დონესთან. რესურსების

უფრო სამართლიანი განაწილება შეიძლება იქნეს მიღწეული ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით.

ჰოსპიტალური მომსახურების დონეების მიხედვით **ფინანსური რესურსების განაწილების პარამეტრების ალგორითმი** მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა, დემოგრაფიული მაჩვენებლები, მ.შ. ასაკისა და სქესის მიხედვით, არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და სიღარიბის დონის განმსაზღვრელი ფაქტორები, ნაკლებად დასახლებული რეგიონების (მაღალმთიანი რეგიონები) და განსაკუთრებული ჯგუფების მოთხოვნები [გვ. 184].

რესურსების განაწილების დროს ამ პარამეტრების გათვალისწინება დიდად შეუწყობს ხელს რესურსების სამართლიან გადანაწილებას ჰოსპიტალური მომსახურების დონეების მიხედვით.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად გვესახება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სამედიცინო დაწესებულებების ნებაყოფლობითი აკრედიტაციის სისტემის შემოღება და კლინიკური გაიდლაინების (კლინიკური სტანდარტების) შემუშავება-დანერგვა. 2012 წლისთვის სულ დამტკიცებულია 124 გაიდლაინი, თუმცა არსებობს მათი დანერგვის და დამტკიცებული გაიდლაინების პრაქტიკული გამოყენების მონიტორინგის პრობლემა.

2012 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა ჰოსპიტალში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების შიდა სისტემა, თუმცა ჯერ კიდევ დასახვეწია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გარე კონტროლის მექანიზმები [გვ. 134].

ამჟამად ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემას მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია და მიღებული ინფორმაციის ხარისხი ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. აღნიშნულის დადასტურებაა სიკვდილიანობის მიზეზების აღრიცხვის პრობლემა. 2010 წელს სიკვდილიანობის მიზეზების 55%, ხოლო 2011 წელს - 41% დაფიქსირდა უცნობი დიაგნოზით. აუცილებელია სამედიცინო სტატისტიკის მოწესრიგება და პერსონალური ელექტრონული

სამედიცინო ჩანაწერების სისტემის შემუშავება, რომელიც ინფორმაციას დააკავშირებს ინდივიდთან და არა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთან.

ჰოსპიტალური სექტორის მდგომარეობის ანალიზი და ჩატარებული კვლევების შედეგები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რეფორმა არ დასრულებულა, ჰოსპიტალური სექტორის მართვის ფორმები და ორგანიზაციული სტრუქტურა დასახვეწია, მენეჯმენტის მომზადების დონე მსოფლიო სტანდარტებს ჩამორჩება, საკანონმდებლო დონეზე მოსაწესრიგებელია მკურნალობის სტანდარტების (გაიდლაინების) შემოღება-დანერგვის საკითხები.

ჯანდაცვის სექტორის დაფინანსებაში, ანალოგიურად სხვა ქვეყნებისა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წილის გაზრდა, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის, მიზნობრივი გადასახადების შემოღებით და საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდით.

დასახვეწია ჯანდაცვის დაფინანსების შესახებ კანონი, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული:

- „უნივერსალური პაკეტი“ და მისი შემადგენლობა, რომელსაც სახელმწიფო შესთავაზებს მოსახლეობას სრული დაფინანსებით ან მინიმალური თანაგადახდით, განურჩევლად მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილისა თუ ფინანსური მდგომარეობისა;

- „დამატებითი პაკეტი“ და სამედიცინო დაზღვევის ბაზარზე მისი რეგულირების პრინციპები. ამ პაკეტის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ტარიფების დადგენის და ანაზღაურების წესი;

- ორივე პაკეტის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების შესყიდვის, მიმწოდებელთა შერჩევის და შესყიდული მომსახურების ანაზღაურების პრინციპები;

- სამედიცინო მომსახურების ბაზარზე ფასწარმოქმნის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმები.

“უნივერსალური პაკეტის” და “დამატებითი პაკეტის” ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი სოციალური ვალდებულებების შესრულების მიზნით საჭიროა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განსაზღვროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოწყობის ახლებური ორგანიზაციული და ტერიტორიული

სისტემა. კერძოდ, მიზანშეწონილია ცენტრალური/რეგიონული სტრუქტურების დაფინანსება განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო რაიონული ცენტრების -ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მმართველ და სამართავ სუბიექტებს შორის დამოკიდებულების აღგორითმი, რომელიც ასახავს ჰოსპიტალური სექტორის მისიის თავისებურებებს და ზოგადად ჯანდაცვის სფეროს სოციალური და კომერციული ფუნქციების ურთიერთდაბალანსების მოთხოვნებს [გვ. 185].

მსოფლიოში იცვლება სამედიცინო ტექნოლოგიები, მკურნალობის ფორმები და მეთოდები, იცვლება მოთხოვნები სამედიცინო მომსახურების მიმართ; ასევე იცვლება ეკოლოგიური პრობლემები და დაავადებათა სტრუქტურა. ჰოსპიტლის მენეჯმენტმა უნდა შეძლოს ამ ცვლებად გარემოში თავისი ადგილის დამკვიდრება , მან უნდა მართოს არა მარტო გარე ცვლილებები, არამედ ცვლილებები შეიტანოს ორგანიზაციის შიგნითაც. ცვლილებების მართვა მენეჯმენტის მეცნიერების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს და მოიცავს მენეჯმენტის ოთხივე ფუნქციას: დაგეგმვას, ორგანიზაციას, მოტივაციას და კონტროლს.

ცვლილებათა მართვის არსებული მოდელების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ჰოსპიტალურ სექტორში ცვლილებების განხორციელება მიზნად ისახავს საბოლოო ჯამში სამედიცინო ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლებას. ცვლილებები შეიძლება იყოს რთული, ხშირად მტკივნეული და რთულად დასაძლევი მთლიანად ჰოსპიტლის და თითოეული მისი თანამშრომლისათვის. მსოფლიოში აღიარებული ცვლილებათა მართვის მოდელები დაეხმარება ჰოსპიტლის მენეჯმენტს გაერკვეს ტრანსფორმაციის დეტალებში და ცვლილებების პროცესის მართვაში. ვინაიდან ცვლილება არის უწყვეტი პროცესი, ცვლილებათა მართვის მოდელი ციკლის ხასიათს უნდა ატარებდეს.

ნაშრომში ბიუჯეტირება განხილულია, როგორც მმართველობით ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების დასასაბუთებლად, გეგმების შესადგენად და მათი შესრულების შესაფასებლად,

სტრატეგიული მიზნების კორექტირების ჩათვლით. სამედიცინო ორგანიზაციებისათვის ბიუჯეტის ფორმა არ არის მკაცრად რეგლამენტირებული. ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შემუშავებულია ძირითადი სამედიცინო განყოფილებისა და დამხმარე ქვედანაყოფებისათვის ბიუჯეტის ფორმატი [გვ. 181-182].

აღნიშნული საკითხები ნაშრომში განხილულია კომპლექსურად, რაც მენეჯერებს გაუმარტივებს მრავალპროფილური ჰოსპიტლის მართვას.

III. ძირითადი დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია საქართველოს ჰოსპიტალურ სექტორში არსებული მდგომარეობის შეფასების, ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის თავისებურებების კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები.

1. ჯანდაცვის სისტემის მართვა სპეციფიკურია და განპირობებულია საქმიანობის განსაკუთრებული მნიშვნელობით და სისტემის ფუნქციონირების სოციალური მიმართულებით: სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მომსახურება და მისი ჩართვა მომსახურების გაწევის პროცესში, რაც განსაზღვრავს გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარისხის და სამედიცინო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების შეფასების სირთულეს. გარდა ამისა, სამედიცინო მომსახურება მიეკუთვნება სოციალურ მომსახურებას, მას აქვს საზოგადოებრივ-სოციალური ეფექტი და ჰოსპიტალური სექტორის როლი ამ საქმეში არსებითია. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჰოსპიტალურ სექტორში მართვის ორგანიზაციას.

2. ჯანდაცვის დაწესებულების მართვის მსოფლიოში აღიარებული კლასიკური მეთოდების გარდა (ეკონომიკური მეთოდები, ორგანიზაციული მეთოდები; სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები) ჩვენს მიერ განხილული და შეფასებულია ბოლო წლებში დამუშავებული ჯანდაცვის ორგანიზაციისადმი სპეციფიკური

მიდგომებიც: სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის სისტემური ანალიზი, სამედიცინო დახმარების მართვა ინტეგრირებული სისტემების გამოყენებით, იმიტირებული მოდელირების მეთოდი გარდამავალი ეკონომიკის სისტემაში, ექსპერტული შეფასების მეთოდი და სხვა.

ჩვენი აზრით, მართვის მეთოდოლოგიის სრულყოფის ძირითად მიმართულებად უნდა ჩაითვალოს მართვის კლასიკური მეთოდების ინტეგრაცია და ორიენტაცია ობიექტზე, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის სამივე სექტორის ელემენტებს. ასეთ შემთხვევაში მენეჯმენტი აღჭურვილი იქნება ისეთი ტექნოლოგიით, რომელიც შესაძლებელს გახდის უზრუნველყოს დახმარება სახელმწიფო სექტორში შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენებისას წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაში.

3. საქართველოს მთავრობის 2005-2012 წლების ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის შედეგების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში არ არის სრულყოფილი ჰოსპიტლების მენეჯმენტი. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხრიდან გადაუდებელ ღონისძიებად მიგვაჩნია:

- საკანონმდებლო დონეზე ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება სადაზღვევო კომპანიების მიერ განხორციელებულ საქმიანობასა და ჰოსპიტალური სექტორის განვითარების საკითხებს შორის. ამჟამად კი ერთიდაიგივე კომპანია ახდენს სადაზღვევო სამედიცინო პროექტების გაყიდვას და ახორციელებს ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მენეჯმენტს;

- ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახურის უფლებამოსილების გაზრდა. ამ სამსახურს საკანონმდებლო დონეზე უნდა მიეცეს თავისივე გადაწყვეტილებების აღსრულების უფლებამოსილება. (ამჟამად ამ სამსახურის მოქმედება მხოლოდ პაციენტთა საჩივრებზეა დამოკიდებული, რის გამოც ეს სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც ჯანდაცვის ხარისხის და ვერც პაციენტთა უფლებების დაცვას).

4. სახელმწიფომ უნდა გაზარდოს სამედიცინო მომსახურების შემსყიდველების როლი სამედიცინო ბაზარზე და ხელი შეუწყოს როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას, ასევე

ჯანდაცვის სფეროში არაფორმალური ეკონომიკის ხვედრითი წილის შემცირებას. რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი გარემოს შექმნას სამედიცინო მომსახურების სფეროში და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ხარისხის განუხრელ ზრდას, საბოლოო ჯამში კი, აამაღლებს მენეჯმენტის დაინტერესებას - მართვის მეთოდების განუწყვეტელი სრულყოფით უზრუნველყონ მაღალი სტანდარტები, რისი მიღწევაც კონკურენციის პირობები თანდათან მკაცრდება.

ჩვენ ვემხრობით ასევე მოსაზრებას, რომ ლიცენზია უნდა გაიცეს არა საქმიანობაზე, არამედ დაწესებულებაზე ან დაწესებულებაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულზე ამ ჰოსპიტალური დაწესებულების ან სტრუქტურული ერთეულის ტიპების მიხედვით.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად გვესახება სამედიცინო დაწესებულებების ნებაყოფლობითი აკრედიტაციის სისტემის შემოღება და კლინიკური გაიდლაინების შემუშავება-დანერგვა.

5. რეგიონების და ჰოსპიტალური მომსახურების დონეების მიხედვით ფინანსური რესურსების განაწილება და დაფინანსების მექანიზმები უნდა ემყარებოდეს მოსახლეობის საჭიროებებს.

ჩვენს მიერ შემუშავებულია ფინანსური რესურსების განაწილების პარამეტრების ალგორითმი, რომლის გათვალისწინება ხელს შეუწყობს რესურსების სამართლიან გადანაწილებას ჰოსპიტალური მომსახურების დონეების მიხედვით.

6. ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზმა, გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია. მათ შორის:

ა) კვლევის საინფორმაციო-სტატისტიკური ნაწილის შედეგების განზოგადება გვაძლევს საშუალებას, გავაკეთოთ შემდეგი შეფასება:

- ჰოსპიტლების ნაწილი არ აწარმოებს სტატისტიკას, რიგ შემთხვევებში საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ჰოსპიტლის ფუნქციონირების ზოგიერთი ინდიკატორის და მათი გამოთვლის ტექნიკის შესახებ;

- მიმართვიანობის მატება მიანიშნებს სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. მენეჯერთა გარკვეული ნაწილის მიერ აღნიშნული მაჩვენებლის უგულვებელყოფა

კი, მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ჯეროვნად არ/ვერ აფასებენ “მიმართვიანობის” მნიშვნელობას;

- ჰოსპიტალში გატარებული საწოლდღეების რაოდენობა არ იზრდება ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების პროპორციულად, რაც, ერთი მხრივ გამოწვეულია მკურნალობის მეთოდებისა და ტექნოლოგიების დახვეწით, მეორე მხრივ კი, მომსახურების სიძვირით;

- ჰოსპიტალურ სექტორში შეინიშნება საწოლის დატვირთვის საშუალო მაჩვენებლის მატება, რაც სასურველი ტენდენციაა ჰოსპიტალური სიმძლავრეების ოპტიმალურად და სრულად ასათვისებლად, თუმცა, კვლევის არეალში სახეზეა მკაფიოდ გამოხატული დივერსიფიკაცია – 90% და 18%, რაც სხვადასხვა დაწესებულების მიმართ განსხვავებული ნდობის ფაქტორით, მომსახურება/მკურნალობის ხარისხით და/ან მათი პროფილებით უნდა აიხსნას;

- ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება – სამედიცინო პერსონალის რაოდენობის რადიკალური შემცირება- ვერ განხორციელდა. თუმცა, კვლევის მიხედვით კერძო საკუთრების პირობებში ჰოსპიტალი არ ამცირებს სამედიცინო პერსონალს, ე.ი. არსებული რაოდენობა ოპტიმალურია კონკრეტული დაწესებულებისთვის.

ბ) კვლევის იმ ნაწილმა, რომლის მიზანიც იყო უმაღლეს მენეჯერთა პროფესიული კომპეტენციის დონის განსაზღვრა, გვიჩვენა:

- ჰოსპიტალური დაწესებულების ცენტრალიზებული მართვა წარმოადგენს მართვის თანამედროვე ტენდენციას ჯანდაცვის სისტემაში;

- ჯანდაცვის მენეჯერთა პროფესიული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა და გადამზადების საჭიროება. ამის აუცილებლობას ადასტურებენ კვლევაში მონაწილე ჰოსპიტლის მენეჯერებიც;

- ჰოსპიტალური დაწესებულების მართვის პროცესზე, არსებით გავლენას ახდენს ლოკალურად მოქმედი ფაქტორები. მათ შორის ფინანსების დეფიციტი, კომუნიკაციის ნაკლებობა მენეჯმენტის რგოლებს შორის და თანამშრომელთა რეზისტენტობა ცვლილებებისადმი;

- გამართული და პროფესიონალური მენეჯმენტის პირობებში ჰოსპიტალური ბიზნესი წარმატებული საქმიანობაა.

7. ქვეყნის ჰოსპიტალურ სექტორში ჩატარებული დაკვირვებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება;

- სახელმწიფომ და ჰოსპიტალურმა სექტორმა ერთობლივად უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის გაცვლა პირდაპირი კონტაქტების საფუძველზე;

- ჰოსპიტალურ სექტორში უნდა შეიქმნას სახელმწიფო და კერძო სექტორის ჯანსაღი თანამშრომლობის პრეცედენტი; საჭიროა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

- სახელმწიფო არ უნდა შემოიფარგლოს დამკვირვებლის ფუნქციით, არამედ სხვადასხვა ბერკეტებითა და მექანიზმებით გაზარდოს საკუთარი როლი და მნიშვნელობა ჰოსპიტალური სექტორის ზრდა-განვითარების საქმეში;

- სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ჰოსპიტალური სექტორის უწყვეტი მონიტორინგი და გამოასწოროს გამოვლენილი ხარვეზები;

- სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნოს მის მფლობელობაში შემორჩენილი ჰოსპიტალური სიმძლავრეები;

- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციული ჰოსპიტალური ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც დაარეგულირებს სამედიცინო სერვისების ტარიფებს, ასევე გაზრდის მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამედიცინო სერვისებისადმი;

- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სამედიცინო სადაზღვევო პროდუქტის დახვეწას და ხელმისაწვდომობას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზრდება სადაზღვევო თანხის წილი ჰოსპიტალურ ბაზარზე;

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტში დეკლარირებული ვალდებულება ჯანდაცვის სისტემის მენეჯერთა ორგანიზებული მომზადება-გადამზადების შესახებ. დღესდღეისობით მენეჯერები წარმატებულ საქმიანობას ინტელექტუალური რესურსებისა და პირადი

კონტაქტების ხარჯზე ახერხებენ;

- მენეჯმენტი აქტიურად უნდა ჩაერთოს ჰოსპიტალურ სფეროში მიმდინარე კვლევებში. რადგანაც სისტემაში არსებული პრობლემების ზუსტი იდენტიფიკაცია და გადაწყვეტა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციის წყაროს კომპეტენტურობაზე;

- მენეჯმენტმა უწყვეტად უნდა აწარმოოს სხვადასხვა ჰოსპიტალური მაჩვენებლის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, განახორციელოს მათზე მონიტორინგი, დასახოს აღნიშნული ინდიკატორების ოპტიმიზაციის გზები;

8. შემუშავებულია ჰოსპიტალური დაწესებულებისათვის ცვლილებათა მართვის მოდელი, რომელიც ემყარება არსებულ თეორიებს, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ ის ითვალისწინებს სამედიცინო ტექნოლოგიების, მკურნალობის მეთოდებისა და ფორმების ცვლილების უწყვეტობის პრინციპს. ვინაიდან ცვლილება უწყვეტია, ცვლილებათა მართვის მოდელი არა პროცესის, არამედ ციკლის ხასიათს უნდა ატარებდეს.

დისერტაციაში ჩამოყალიბებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია გააუმჯობესებს ჰოსპიტალური სექტორის მენეჯმენტის პრიორიტეტული მიმართულებების სრულყოფას და ხელს შეუწყობს ამ სფეროში ჯანსაღი კონკურენციის არსებობას.

ავტორის მიერ გამოქვეყნებულია 15 სამეცნიერო ნაშრომი, მათგან სადისერტაციო თემაზე - 7:

1. ბაქრაძე გ. „ხარჯების ბიუჯეტირებისა და კონტროლის საკითხები“. IV საერთაშორისო კონფერენცია „ახალი ტრენდები განათლებაში: კვლევა და განვითარება“, გვ. 204-207. გორის სასწავლო უნივერსიტეტი. საქართველო, 2011

2. ბაქრაძე გ. თაკალანძე ლ. „სამედიცინო დაწესებულებების მართვის ფორმები განვითარებულ ქვეყნებში“ საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია „პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები“, გვ. 247-250. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2011

3. ბაქრაძე გ. „სამედიცინო ბიზნესის გამოწვევები ჰოსპიტალურ სექტორში“. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული

კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე“ გვ. 108-111. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2011

4. ბაქრაძე გ. „ფასწარმოქმნა ჰოსპიტალურ სერვისებზე საქართველოში და მისი გავლენა სამედიცინო ტურიზმის განვითარებაზე“. IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციები ტურიზმში: ეკონომიკა და ბიზნესი“, გვ. 169-172. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი-ტრაპზონი, 2013

5. ბაქრაძე გ. „MR Managment“ - პრიორიტეტი ჰოსპიტალური სექტორის მართვაში (პარალელები მართვის იაპონურ მოდელებთან)“. პროფესორ გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის პრაქტიკული მასალების კრებული, გვ. 508-510. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2013

6. ბაქრაძე გ. „დანახარჯების ფორმირებისა და განაწილების თავისებურებები ჯანდაცვის დაწესებულებებში“. სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „გადასახადები #10, გვ.44-50 თბილისი, 2013

7. ბაქრაძე გ. მართვის ფორმების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ჰოსპიტალურ სექტორში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, გვ. 228-231. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი, 2014

SUKHUMI STATE UNIVERSITY
FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

GIVI BAKRADZE

MAIN APPROACHES OF IMPROVING THE MANAGEMENT IN HEALTH
CARE SYSTEM
(IS BASED ON THE HOSPITAL SECTOR OF GEORGIA)

DISSERTATION BULLETIN

PRESENTED FOR ACQUISITION OF DEGREE OF ACADEMIC DOCTOR
OF BUSINESS ADMINISTRATION

TBILISI 2014

The thesis has been performed in Sukhumi State University
At the Faculty of Business and Economics

Research Supervisor : Larisa Takaladze
Academic Doctor of Economics,
Full professor at Sukhumi State University

Experts: 1. Nino Kharebava
Academic Doctor of Economics,
Associated professor at Sukhumi State University

2. Irina Kvitaishvili,
Academic Doctor of Economics,
Director of LTD „RM MEDICAL”

Reviewers: 1. Zurab Lipartia
Academic Doctor of Economics,
Full professor at Sukhumi State University
2. Evgeni Baratashvili
Academic Doctor of Economics,
Full Professor at Technical University of Georgia

The Dissertation defense will be held on 10 July 2014, at 15.00 at Sukhumi State University, at the dissertation Committee meeting of the Faculty of Business and Economics. Address: # 9, Ann Politkovskaia St., VI Floor, presentation room.

Scholar Secretary of Dissertation Committee,
Academic Doctor of Economics,
Associated professor at
Sukhumi State University

Madona Gelashvili

I. GENERAL OVERVIEW OF DISSERTATION THESIS

Actuality of research. In recent years, structural reorganization is being gradually implemented in health care system of Georgia. The core objective of reform is: to provide constitutional guarantees of citizens in the health care system, to maintain a leading position of the state under the conditions of price formation market mechanisms and competition in medical business, improvement of medical service, to ensure a sustainable functioning of health care facilities, improvement of material – technical, economic and clinical effectiveness of financial and human resources of the sphere.

The role of management significantly increases in Health care system along with the transition to market economy principles,. As far as the formation of an effective system of adequate public health relevant to world's scientific achievements are actual, improvement of management forms and methods, also issues of raising additional sources of funding of efficient use of limited resources still remains crucial alongside with the improvement of insurance mechanism matters.

Hospital is an important element of the health care system, it is impossible to implement reform in health care system with the avoidance of hospital sector. Hospital determines the degree of access to highly specialized health care services and has a significant impact on the health of the population on the whole. Therefore, hospital sector reforming and the improvement of management system, is the main challenge of the state in health care direction.

The government of Georgia began reforming of health care system in the 90s of the last century. International organizations were actively involved and participating in this process, which provided financial and expert aid to Georgia. In 1994-1995 the World Bank has been involved in the development of Georgia's hospital sector rationalization and optimization plan and financial support. In 1998 The World Bank completed the development of hospital restructuring plan. For the purpose of hospital sector rehabilitation in 2007 “Hospital Sector Development General Plan” has been elaborated, according to which,

in case of implementation this plan (three years later) 100 hospitals would be built in Georgia with 7,800 hospital beds (4,185 beds-in Tbilisi and 3,615 beds-in regions).

The main essence of hospital rehabilitation program was that all hospitals having been in the state ownership and within the state funding should have passed to private ownership through privatization. The goal was noble: to promote private investment raising in the sector, and to increase competition between hospitals and improve the quality of medical services provided by them.

In the light of ongoing changes in health care system, effective management of the hospital sector, health service quality and its availability still remains problematic. A low rate of population health is still remained, as well as the other similar problems, such as: low geographic access, public dissatisfaction and a low degree of confidence, inadequate physical infrastructure of medical institutions, ineffective funding model, the lack of market incentives and competition.

At the present stage, inadequate processing of hospital sector management issues in health care system of Georgia, both theoretical and practical importance of the issue has led the author to choose the present Dissertation thesis. Processing of methodological aspects of hospital management and management, to develop the usage of their practical recommendations, to study Georgia-based hospital network activity, altogether, taking into consideration the experience of progressive European countries, conditions actuality of the present research.

Studying level of research problem/Literature Review. The issue of hospital sector management improvement has not been the subject of particular discussion of Georgian scientist-economists; however, the present research is based on many significant works done by famous Georgian scientists, dedicated to health care organization and management issues, such as: O.Gerzmava, T.Verulava, M. Murjikneli, R. Urushadze, L. Kochlamazashvili, L. Takalandze, I. Kvitaishvili, D. Lominadze N. Gvedashvili, I. Jakheli's and works of many other outstanding scientists. While working on the dissertation thesis author distinguis-

hes works of Georgian scientists’: E.Baratashvili, O.Ejibadze, Z. Lipartia, G. Kesheashvili, T. Shengelia, G.Shubladze, N.Chitanava, O kharebava, T. Khomeriki used for dissertation bulletin.

During the process of working on a dissertation author definitely distinguishes the works of foreign scientists: T. Getzen, P. Druker, R. Dapt, H. Paiol, P. Kotler, A. Aleksandrova, V. Baranov, M. Kuzmenko, L. Drobozina, D. Novikov, V. Rodionov and M. Romanovsk, V. Senegov and scientific works done by other scientists.

Aim and objectives of research. The core objective of the dissertation paper is Georgia’s hospital sector reforming result analysis and on the ground of population health estimation results, improvement of hospital sector management and to elaborate theoretical and practical recommendations that support optimization of management’s organizational structure.

Through the objectives of the research, following objectives are set out in the present dissertation thesis:

- To introduce and generalize methodological foundations of health sector management in developed countries, particularly hospital sector management and to study the peculiarities of management.

- Analysis of development tendencies’ of management theories of health care sector and the establishment of author’s position of their evaluation;

- Discussion of existing state regulation mechanisms of health care system of Georgia, review, evaluate and formation of author’s opinions.

- To introduce and generalize methodological foundations of health sector management in developed countries, particularly hospital sector management and to study the peculiarities of management.

- Complex study and evaluation of Georgia’s hospital sector reform results;

- Analysis of population illness indicators and the demand assessment on hospital sector;

- Define existing management forms of health care sector in Georgia and to determine informational awareness of managers through questionnaire ;

- Evaluation of existing practice of the hospital sector management and justification of the necessity of its improvement and elaboration of further improvement proposals and recommendations;
- To develop the basic approaches of improvement proposals and recommendations of management forms in hospital sector;
- Development of budgeting methodology of multi-profile hospital sector, to establish the criteria for the assessment of obtained results and business-processes' management by its management.

Subject of research. The research object of the present dissertation paper is the management relations formed in hospital sector of Georgia, management technologies and consequently to reveal and evaluate organizational-economical conditions, existing in the whole health care system.

Research object. The object of the present study is a hospital sector of Georgia, choosing the hospital sector as a core object of the study was defined by its dominant importance in the reform process of health care system. The importance of the hospitals in the health care system is determined by the following factors: important part is allocated from the budget of health care system and spent on their funding, hospital determines access and availability to the highly specialized medical services, important part of health care professionals are employed in hospitals, in addition hospital sector plays the crucial role in the implementation of state's social policy.

Theoretical-methodological basis and informational background. During the process of conducting the research, various methods of research, such as: abstraction, analogy, statistical observations, systematic approach, comparison, and analysis methods were used. The research database is consisted of: legislative acts existing in the field of health care management of Georgia, governmental decrees, methodological and normative acts adopted by the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia, National Statistics office of Georgia, materials of National Center for Disease Control and Public Health of the Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia. Scientific and practical working papers written in the field of health care mana-

gement and done by domestic and foreign scientist and experts are used in the present scientific research alongside to the legislative and normative acts.

The main postulates to protect. Characteristics of health sector are determined by the specific of its activity and social functioning of the system: the aim of the activities of medical institutions is to provide medical service to their customers and their involvement in the process of medical service delivery, which determines the extent of the rendered medical service quality and difficulty of evaluation of medical organizations. In addition, medical service has a public-social effect and the role of hospital sector in this field is essential. At the present stage, the results of the analysis of the reform of the hospital sector, existing normative-legislative base in the state, healthcare economics and domestic and foreign literature existing in the management, according to conducted research and on the basis of result analysis of statistical materials, for the acquisition hereby is presented following supporting provisions of the hospital sector management:

1. According to the results of the analysis of the reform that was gradually carried out in the hospital sector of the state following position was identified, that despite of positive tendencies, approximation of Georgian healthcare system to the International indicators have was impossible. In European countries an important part of medical institutions belongs to institutions of having strategic importance and represents a state property, while in Georgia, 97% of hospitals existing in Georgia were subordinated to privatization within the reform framework. In European countries, funds allocated for health care system – amounts 14-15% of the total budget, while in Georgia this figure does not exceed 6.5 -7%. State's share of EU countries in the implementation of health programs is 75-80% – but in Georgia this indicator does not exceeds 23%; Most of the insurance companies in the hospitality sector in the region marked by vertical integration, which is the carrier of a conflict of interest; Vertical integration of insurance companies was identified in hospital sector of Georgia in most regions, which is the carrier of conflict interest.

We consider it most important from the state to carry out appropriate measures to ensure the access to hospital services, sustainability and quality assurance measures, primarily to improve the legislative base.

2. In addition to the classical methods of health care institution's management (economic, organizational, social - psychological methods), specific approaches to health care organization are also discussed and assessed: Systemic analysis of the work of medical institutions, health care management with the use of integrated management systems, simulated modeling method implemented in the system of transition economies, expert evaluation method and etc.

Author considers integration of classical methods and orientation on the object that involves all three sectors (public, private and non-profit) of healthcare sector as the basic direction of improvement of management methodologies. This will give the management opportunity to overcome difficulties of limited resources with rational use.

3. Analysis has proved that distribution of financial resources and funding mechanisms according to regional and medical service levels should be based on the needs of population. This requires to develop resource allocation algorithm for the purpose of inspection, in accordance with the scope and quality of services rendered.

Financial resource allocation algorithm parameters are also elaborated according to hospital service levels, considering of which will promote the fair distribution of resources in accordance with the levels of hospital service.

4. Have been developed the formation scheme of organizational structure of the hospital institutions and business management recommendations for effective organizational structures which takes into account the peculiarities of the medical business. According to the author, the key in determining the organizational structure of the hospital departments have evolved in the principal purposes of and the subdivision and the common units will be considered as ancillary structures;

5. Hereby is proposed hospital management structure and remit

of the author's opinions about the forms of perfection, as well as the health sector managers, staff training and proposals of informational ensuring for improvement of management solutions.

Scientific innovation of research: Dissertation describes management of health care reform in the hospital sector and the characteristics of scientific research carried out in Georgia in the first attempt. From Dissertation research results we outline:

1. Scientific innovation of dissertation thesis presents that factor that complexly was carried out research of theoretical, methodological and practical issues of healthcare management, for the purpose of development of management approaches in health care sector. Throughout the reality of Georgia it is recommended to use the experience of scientific schools in combined manner, where would be considered characteristics of healthcare sector, especially specifics of hospital sector.

2. The development of social-economic principles of presented field is complexly studied, analyzed and evaluated results of hospital sector's first reforms of Georgia;

3. Methodology of formation of hospital organizational structure is elaborated in present dissertation, which is based on the ground of identification of priority structure for the purpose of achieving the set out goal.

4. On the basis of carried out sociological study in the leading hospitals of Georgia, conclusions are drawn on the existing problems of high management in modern hospital management of Georgia and also developed the proposals of their overcome.

5. Is developed implementation model of budgeting-of management functioning planning in hospital sector, which will promote according to established organizational structure to define an economic effectiveness of activity, financial management of business unit;

6. Is proposed algorithm of managerial activities of hospital sector based on the multi-level organizational system, where hierarchical levels might vary according to the changes of hospital number and is developed criteria of effective management. At the same time Is de-

veloped algorithm of management problems, which describes general state of management problems designated for hospital sector;

Practical importance of the work. Conclusions and recommendations having been formed after the study results can be used as a starting base for further improvement and fulfilling of the hospital sector functioning of Georgia.

Study results may be used by the health care managerial structures/bodies, by hospital management and may be included in relevant educational programs as a methodological material.

Approbation of research results. Approbation of the thesis was held at The Sukhumi State University, Faculty of Economics and Business Administration and Faculty of Business, Business Management, at Management's sub direction session in January - 2014, at an appropriate doctoral dissertation board meeting of the faculty of Economics and Business, also at the international and national scientific-practical conference. Principal provisions of dissertation thesis are published in referred scientific-practical magazines in 6 articles.

Two colloquiums is conducted based upon dissertation thesis materials.

1. Stationary grid's current situation and development in Georgia. (July 2012)

2. Peculiarities of modern hospital management. (July 2013)

Dissertation structure and volume. Thesis includes a computer-printed 198 pages; The dissertation consists of an introduction, three chapters, ten paragraphs, conclusions and recommendations. The work is enclosed bibliography and appendices 125 denomination. Appendices include 10 tables, 3 charts and 27 diagrams.

Dissertation thesis structure corresponds to the logic of study and has the following form:

Introduction

Chapter I. Theoretical and methodological foundations of health care management

1.1. Theoretical basis of health care management development forms

1.2. Methodological aspects of health care management

1.3. Theoretical introduction of necessities of state regulation of health care system

Chapter II. Current Situation assessment of hospital sector management

2.1. The main indicators of functioning of the hospital sector system analysis and its assessment in market conditions

2.2. Result Analysis and assessment of market transformation of hospital sector service in Georgia

2.3. Peculiarities of hospital sector management in developed and developing countries

2.4. Management development tendencies/trends in hospital sector of Georgia

Chapter III. Management improving measures of the hospital sector

3.1. Main directions of management improvement forms in the hospital sector

3.2. Improving issues of hospital sector service forms and organizational structure

3.3. Management technology improvement methods in the hospital sector of Georgia

Conclusions and suggestions

Bibliography

Appendixes

II. THE BASIC CONTENT OF THE THESIS

Actuality of the research problem is proved in the introduction of the thesis, at the same time is identified the condition of the research problem, aim and object of the research, research subject and object, theoretical and methodological principles of the research. Simultaneously is formed the main results of the research, scientific novelty and its practical importance.

The First Chapter – “Theoretical and methodological foundations of health care management” discusses theory of development of the

health sector management trends, general methodological aspects and peculiarities of health care sector management, hereby is analyzed peculiarities of medical market and principles of formation of market mechanism and the methods of its perfection in hospital sector, in addition discusses introduction of state regulation of healthcare sector.

In the present research is studied various schools and approaches of management theory development, situational and process management theories conforming with hospital sector management.

Derived from an examination of the scientific schools it is concluded that it is difficult to separate any particular direction and its inclusion in the health care system effectively. The current reform of Georgia health care system needs radical improvement of management forms and organization. Therefore, to find the correct approach it necessary to take into consideration all school ideas.

Peculiarities of management in healthcare sector is discussed and evaluated in the present work, which is determined by the specific of activity and social approach of system functioning. The aim of the activities of medical institutions is providing a service to their customers/patients and their involvement in medical service process, which determines the extent of the medical service quality and difficulty of evaluation of medical organizations. In addition, a medical service belongs to social service, thus it has the public –social effect and the role of hospital sector here is essential. All of this is largely determine organization of management in the hospital sector.

Essential features, determining the management process of medical institutions are revealed in the present dissertation thesis, which is connected with the character of their activity: The difficulty of quality defining and complexity of measuring of activity results, high specialization of main activity, which often has an immediate and urgent character; No right of uncertainty and mistake; complexity of responsibility distribution among various subdivisions and the necessity of close coordination; High qualification of the staff, Necessity of strict control of management over physicians' activities, which really affect the size and over the cost determination of hospital activities

Three types of medical institutions are separated in accordance with the generally accepted classification, which corresponds to three sectors of modern society (public, private and non-profit) and the management specifics is clearly analyzed in each of them.

Health care system, like any other field, requires usage of wide range of different methods that affects on subjects of governing bodies. The Health care management method is based on mutual relationships of participants based on objective ground and considers specific characteristics of subjects' behavior in this sphere. In general, three main groups of Health care management methods are separated: Economic methods, organizational methods, and social - psychological methods.

One of the basic characteristic of medical service market is – doctor's crucial role in the formation of patient's demand. Despite the fact that medical service delivery is being established in the medical market as a consequence of demand impact, patient does not have the necessary knowledge and full information about this service. Therefore, the decisive role belongs to the managers of medical institutions, who have to provide, on the one hand, to satisfy the needs of consumers (patient's) completely and qualitatively, and on the other hand, to achieve the highest economic outcomes in the medical institutions. Considering all of above mentioned, it's proved in the thesis that the manager is responsible for social justice and ensuring the combination of principles of economic effectiveness; It is proved that health care as a sector is characterized by specific characteristics and qualities, that is why action of the market regulations is limited in this field and the state has a particular role in the protection of public health.

Currently, primary objective of health care system is to gradually increase the funds allocated for the financing of health care system in accordance with the minimally acceptable level recommended by the World Health Organization (MAL-7%) and to introduce such kind of economic-financial mechanism which will provide effective usage of already allocated scarce financial resources. In 2011, the share of public expenditures in the health sector with respect to the gross domestic product amounted 1.7%, and public expenses in relation to total cost

did not exceed 25%, which did not ensure full implementation of the commitments assumed by the state. Trend analysis of already insured individuals with private or state-financed insurance, showed that in 2007 only 6% of the population was insured with one form or another health insurance packet, it's worth to indicate that in 2012 every second citizen of Georgia was insured and 75% of them were involved in state insurance programs. From nowadays perspective difficult situation still remains in health care sector, government of Georgia took a decision to implement an universal insurance system of population since July 1.

Despite of taken measures in the field of public health, the system still requires significant investments from the Government, which is that we consider as the urgent task for further economic growth in the country and for reducing potential employment losses.

THUS, Our analysis revealed the most important information, which enables us to define how well executes health care system taken commitments with respect to this direction in the health sector and what priorities should be outlined by the state in the future.

The paper analyzes three methods of management of the health system - program leading method, a global leading method, the market leading method.

In the Second Chapter – “Current Situation assessment of hospital sector management “ is discussed importance of hospital sector in providing population with health care service, the basic qualitative indicators of its functioning, at the same time, thesis analyses medical service conditions of population in Georgia and the demand on hospital sector service according to their profile. National Health Policy of Georgia is analyzed in Dissertation work, in addition to this, the basic postulates of health care providing and primary concepts of health ensuring matters are also assessed. General plan of hospital sector's development. Hereby, reform results of hospital sector and its development trends are also studied. Importance of marketing is identified in market research of hospital network, dissertation work is assessed

In the present thesis is examined such kind of indicators that are necessary for defining the role of hospital sector, such as the required

number of Hospitals, their type, size, the amount of human, financial and material resources that are necessary for the existence. During the determination of effective functioning of hospital sector is used structural (Improvement of the organizational structure; Improvement of Material - technical base), process (effective resource management) management: The safety of medical care; Quality assurance) and indicators of final result (progress of functional active ability: to achieve the ability of Self-organization and self-control). In determining the direction of the hospital's operation is considered that the perception of conducted result changes in this sphere may take years. There is a considerable gap between hospital resources and information on the results of their work at the central and regional level. This information is the foundation in health sector, and particularly in the hospital sector, during the implementation of national policy.

Hospital sector development indicators are used in the purpose of medical service delivery assessment:

- The dynamics of bed number (in country total and regions);
- Dynamics of Bed occupancy trends (total and regions);
- Average length of stay on the bed dynamics (total and regions).

